

ეკატერინე გამახარია

**ქანდთან მოწვევით  
გენევის მოლაპარაკებები:  
პრობლემები,  
წარმატებები,  
პერსპექტივები**

EKATERINE GAMAKHARIA

**WOMEN'S PARTICIPATION  
IN GENEVA TALKS:  
PROBLEMS,  
ACHIEVEMENTS,  
PROSPECTS**

ეკატერინე გამახარია

**ქალთა მონაწილეობა ქანავის  
მოდერნიზაციაში:  
პრობლემები,  
წარმატებები,  
პერსპექტივები**

საზოგადოებრივი ურის ჯვლების ანალიზი  
ხალხურ-ჰუმანიტარული  
ფონდი „სოხუმის“ (ქუთაისი)  
და აფხაზეთის ქალთა ასოციაციის (სოხუმი)  
ერთობლივი პროექტის ფარგლებში

დაიბეჭდა

შვეიცარიის საგარეო საქმეთა

ფედერალური დეპარტამენტის მხარდაჭერით



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა,  
არ ემთხვეოდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

ქუთაისი 2015

## ავტორის შესახებ

---

ეკატერინე გამახარიას საქმიანობის ძირითადი სფეროა ადამიანის უფლებები, მათ შორის - იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) უფლებები. ეკატერინე გამახარია არის მრავალი ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციისა და ტრენინგ-სემინარის მონაწილე ქალთა უფლებების, კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის საკითხებზე.

შრომითი საქმიანობა დაიწყო კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმში“. 2000-2006 წლებში იყო ქალთა უფლებების დაცვის სექტორის დირექტორი. ფონდ „სოხუმთან“ დღემდე თანამშრომლობს, როგორც კონსულტანტი. 2006 წელს მიიღო ჯონ სმიტის სტიპენდია დიდ ბრიტანეთში დემოკრატიული ინსტიტუტების კვლევისა და შესწავლისათვის, შემდეგ კი - ედმუნდ მასკის სტიპენდია ამერიკის უნივერსიტეტში ადამიანის საერთაშორისო უფლებების შესასწავლად.

2006-2007 წლებში სწავლობდა ინდიანას უნივერსიტეტში (აშშ), სადაც მიიღო ადამიანის საერთაშორისო უფლებების მაგისტრის ხარისხი. 2007-2008 წლებში მუშაობდა დევნილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოს ნაციონალურ კონსულტანტად იგპ-თა საკითხებში. 2012-დან 2014 წლამდე - პროგრამების მენეჯერად ბრიტანულ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციაში „ევრიჩაილდ საქართველო“, რომელმაც 2015 წლიდან დაასრულა თავისი მისია საქართველოში.

2015 წლიდან არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებელი კონსულტანტი და მწვრთნელია.

ეკატერინე გამახარია არის ავტორი ანალიტიკური მოხსენებების, ნიგნებისა და დამხმარე სახელმძღვანელოებისა: „ქალი და მისი როლი მშვიდობის მშენებლობის საქმეში“, „ქალები მოლაპარაკების მაგიდასთან“, „გზა მშვიდობისაკენ“, „ქალთა ლიდერობის ფენომენი“, „გენდერი და პოლიტიკური პარტიები“, „ადგილობრივი ხელისუფლება და გენდერი“, „ქალები მშვიდობის ძიებაში“, „ქალთა ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის შეფასება დასავლეთ საქართველოში“.

## **შინაარსი** =====

**შესავალი** ----- 5

**კვლევის მიზნები,  
ამოცანები და მეთოდოლოგია** ----- 10

**კვლევის შედეგები** ----- 12

1. ჟენევის დისკუსიების მიმდინარეობის შესახებ  
საზოგადოების ინფორმირების დონე ----- 12

2. ჟენევის დისკუსიების  
მნიშვნელობა საზოგადოებისათვის ----- 15

3. მოლაპარაკებებზე ყურადსაღები  
და გადასაწყვეტი პრობლემები ----- 18

4. მოლაპარაკებების პროცესში  
ქალთა მონაწილეობის როლი და მნიშვნელობა ----- 24

5. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის  
ეფექტურობა ქალთა როლის გაზრდისათვის  
კონფლიქტების მოგვარების საქმეში ----- 27

6. სამშვიდობო პროცესებში ქალთა მონაწილეობის  
გაზრდის ხელშეწყობი მექანიზმები ----- 30

**დასკვნები** ----- 33

**რეკომენდაციები** ----- 38

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ“, რომელმაც აღიარა გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა და ქალის უდიდესი როლი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების გამყარებაში, გარდამტეხ მოვლენად იქცა ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ რეზოლუცია მოუწოდებს ქალების თანაბარუფლებიანი და ყოველმხრივი მონაწილეობის უზრუნველყოფისკენ კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაში, მშვიდობისმყოფელობასა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში, მისი მიღებიდან 15 წლის შემდეგაც ქალთა მონაწილეობა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში და სამშვიდობო მოლაპარაკებებში კვლავ ნაკლებად საგრძნობი და უმნიშვნელოა.

გაერო - ქალების (*UN Women*) 2012 წლის ანალიზის მონაცემების მიხედვით, 31 ოფიციალური სამშვიდობო მოლაპარაკებიდან, რომლებიც გაიმართა 1992-2011 წლებში, მხოლოდ 2,4% ქალი მონაწილეობდა პროცესში, როგორც ძირითადი მედიატორი, 3,7% ჩართული იყო დამკვირვებლის სტატუსით, 9% უშუალოდ მონაწილეობდა მოლაპარაკებებში, როგორც დელეგატი და მხოლოდ 4% წარმოადგენდა სამშვიდობო შეთანხმების ხელმომწერს.<sup>1</sup> ოლსტერის ინსტიტუტის 2010 წლის კვლევის თანახმად, შესწავლილი 585 სამშვიდობო შეთანხმებიდან, რომელთაც ხელი მოეწერა 1990-2010 წლებში, მხოლოდ 16% (92 შეთანხმება) შეიცავს ქალთა შესახებ რაიმე მითითებას, ხოლო ამ ამონარიდების თვისებრივი მახასიათებლები საკმაოდ უმნიშვნელოა.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> UN Women, “Women’s participation in Peace Negotiations: Connections between presence and influence”, 2012, New York, page, 3, available at: <http://www.unwomen.org/~media/headquarters/attachments/sections/library/publications/2012/10/wpssourcebook-03a-womenpeace negotiations-en.pdf>

<sup>2</sup> კრისტინ ბელი და ქეთრინ ო'როურკი, „სამშვიდობო შეთანხმებები თუ ქალადის ფურცლები? გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის გავლენა სამშვიდობო პროცესებსა და შეთანხმებებზე“, *International and Comparative Law Quarterly* 59, გვ. 941-980

ზემოთ მოხმობილი მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქალთა როლი მშვიდობისა და უსაფრთხოების მიღწევაში კვლავ დაუფასებელია, არ ხდება მათი აზრის ჯეროვნად მოსმენა და გათვალისწინება.

საქართველოში სამშვიდობო პროცესებში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელოვანი ზრდა მეტწილად უკავშირდება იმ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურ და დაუღალავ შრომას, რომლებსაც ლიდერული პოზიციები უჭირავთ სახალხო დიპლომატიისა და პოსტკონფლიქტური მშვიდობის მშენებლობის სფეროში.

სწორედ ისინი ამყარებენ პირდაპირ კავშირებს კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფ ქალებს შორის, ესმით და ითავისებენ ერთმანეთის სიღრმისეულ განცდებსა და საფრთხეებს, აშენებენ ნდობას, ავითარებენ მშვიდობიანი ურთიერთობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს და ასე გაჰყავთ გზა ხანგრძლივი, სტაბილური და მშვიდობიანი მომავლისკენ. თუმცა, საზოგადოებრივ დონეზე ქალების აშკარა ლიდერობის მიუხედავად, ისინი მაინც შეუმჩნეველნი არიან და მათი ხმები არ ისმის ოფიციალურ მოლაპარაკებებზე.

საქართველოში სამშვიდობო მოლაპარაკებების მთავარ ოფიციალურ პლატფორმას წარმოადგენს ჟენევის მოლაპარაკებები, რომელიც თავდაპირველად მოწვეული იყო 2002 წელს. მისი ფორმატი შეიცვალა 2008 წლის აგვისტოში, საქართველოსა და რუსეთის ხანმოკლე ომის შემდეგ. 2008 წლის 15 ოქტომბრიდან ჟენევის მოლაპარაკებები მოქმედებს 12 აგვისტოთი დათარიღებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაბამისად და მიმდინარეობს ევროკავშირის, ეუთოს და გაეროს ეგიდით. მასში მონაწილეობას იღებენ თბილისის, მოსკოვის, ვაშინგტონის, სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლები.

ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილე ყოველ მხარეს აქვს გარკვეული კვოტა, რომელიც არეგულირებს მონაწილეთა რაოდენობას. ოფიციალურ მოლაპარაკებებზე საქართველოს წარმომადგენს 10 მონაწილე, რომელთა შემადგენლობას ამტკიცებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. ჟენევის მოლაპარაკებების მუშაობა განაწილებულია ორ ჯგუფში: 1. უსაფრთხოე-

ბისა და სტაბილურობის ჯგუფი და 2. იგპ/დევნილთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, რომელშიც მხარეების წარმომადგენლები ინდივიდუალურად იღებენ მონაწილეობას.

საქართველოს დელეგაცია, რაოდენობრივი თანაფარდობით, ქალთა ყველაზე დიდი წარმომადგენლობით აღინიშნა 2012 წელს, როდესაც პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 13 დეკემბრის ბრძანებით, არსებულ სამ დელეგატ ქალბატონს დაემატა მეოთხე და ამით მოხდა ქალთა 40%-იანი მონაწილეობის უზრუნველყოფა დელეგატთა საერთო რაოდენობიდან.

მოლაპარაკებებში ქალთა წარმომადგენლობის ზრდაზე უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წელს დამტკიცებულმა 2012-2015 წლების ეროვნულმა სამოქმედო გეგმამ გაეროს უშიშროების საბჭოს (1820, 1888, 1889 და 1960) რეზოლუცია 1325-ის შესრულების კუთხით. ამ დოკუმენტის მნიშვნელოვანი ამოცანაა ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა სამშვიდობო მოლაპარაკებებში, მშვიდობის მშენებლობასა და შენარჩუნებაში.

2012 წელი აღინიშნა არა მხოლოდ სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა აშკარა ზრდით, არამედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ და მოლაპარაკების პროცესის მონაწილე ქალებს შორის თანამშრომლობის მიმართულებით განხორციელებული პოზიტიური ინიციატივებით.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი ქალების ჯგუფმა შეიმუშავა და მოლაპარაკებების დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა რეკომენდაციები იმ საკითხების გარშემო, რომლებიც განსაკუთრებით აშფოთებთ და აღელვებთ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებს.

პოლიტიკური კონიუნქტურით განსაზღვრული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ამ ინიციატივამ, სამწუხაროდ, ვერ გამოიღო საგრძნობი შედეგები და ქალების მიერ ინიცირებული და შეთავაზებული მრავალი საკითხი არც განხილულა და არც ასახულა სამშვიდობო შეთანხმებებში.

2015 წლის მარტიდან დღემდე ჟენევის მოლაპარაკებებში ქართული მხრიდან მონაწილეობს მხოლოდ სამი დელეგატი ქალი, ხოლო აფხაზური და ოსური მხარეებიდან ქალ-

თა ხმას არავინ წარმოადგენს. თუმცა, ამის მიუხედავად, 2012 წლის გამოცდილება არის არა მხოლოდ მესამე სექტორისა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა შორის თანამშრომლობის უდავოდ პოზიტიური მაგალითი, არამედ შემდგომი მოქმედებების ვექტორი კონფლიქტით დაზარალებულ პირთა პრობლემების შესახებ სახელმწიფო ჩინოვნიკების ინფორმირების ამაღლების მიმართულებით და საზოგადოების წინაშე სამშვიდობო პროცესში ჩართული დელეგატების ანგარიშგების გასაძლიერებლად.

დღეს, ჟენევის მოლაპარაკებების დაწყებიდან 7 წლის და დისკუსიების 33 რაუნდის შემდეგ, ძნელია საუბარი რომელიმე სამუშაო ჯგუფის დადებით და ხელშესახებ შედეგებზე. ჟენევის დისკუსიების ძირითად მიღწევას წარმოადგენს 2009 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შექმნის თაობაზე, რაც მოწოდებულია, „უზრუნველყოს ოპერატიული და ადეკვატური რეაგირება უსაფრთხოების სიტუაციაზე, მათ შორის ინციდენტებსა და მათ გამოძიებაზე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებაზე, რეაგირება კრიმინალურ გამოვლინებებზე, ჰუმანიტარული დახმარების ეფექტურ გადაზიდვაზე, აგრეთვე ნებისმიერი სხვა საკითხის მოგვარებაზე, რაც ეხება სტაბილურობას და უსაფრთხოებას - ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების განსაკუთრებული აქცენტით“<sup>3</sup>.

მექანიზმის დამატებად ამოქმედდა „ცხელი ხაზის“ სატელეფონო სისტემა, რომელიც კონფლიქტის ორივე ზონაში მოქმედებს. „ცხელი ხაზი“ მეტად სასარგებლო ინსტრუმენტი აღმოჩნდა კონკრეტულ ინციდენტებთან დაკავშირებულ მოვლენებზე საერთო შეხედულების ჩამოსაყალიბებლად და ადგილზე არსებული დაძაბულობის შესამცირებლად.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირებისათ-

<sup>3</sup> „გაურკვევლობაში მცხოვრებნი - გალის რაიონში დაბრუნებული ეთნიკური ქართველების მდგომარეობა“, ჰუმან რაით ვოჩის მოხსენება, ივლისი, 2011 წ. გვ. 13



ვის მექანიზმების შექმნამ გამოიწვია შეხვედრების სერია საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის, გაეროს, ეუთოს, რუსეთის და ქართული, აფხაზური და ოსური მხარეების წარმომადგენლების მონაწილეობით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მექანიზმი წარმომადგენდა ერთადერთ ფორუმს, სადაც ყველა მხარეს შეეძლო ინფორმაციის გაცვლა ადგილობრივი ინციდენტების, კრიმინალური ეპიზოდების და ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების შესახებ, 2012 წლის მარტიდან, მის ფარგლებში შეხვედრები გალში შეჩერებულია და დღემდე არ განახლებულა<sup>4</sup>.

არსებული რეალიები ადასტურებს, რომ ყოველდღიური ცხოვრებისეული პრობლემების მქონე ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც ყურადღება სჭირდებათ, ხშირად პოლიტიკური ინტერესებისა და წინააღმდეგობების მძევლები ხდებიან.

ფორმალური მოლაპარაკების პროცესიდან ქალების ფაქტობრივი გამორიცხვა, სახელმწიფო ჩინოვნიკების პირდაპირი კონსულტაციების და ანგარიშგების არარსებობა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების წინაშე და გარკვეული სტაგნაციის სტადიაში შესული პროცესი გახდა სწორედ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების - ფონდი „სოხუმის“ და აფხაზეთის ქალთა ასოციაციის ერთობლივი პროექტის შექმნის წინაპირობა და მიზეზი. ერთობლივი პროექტის მიზანია, ოფიციალურ დონეზე ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მიმდინარეობის გაანალიზება, წარმატების შემაფერხებელი განსაკუთრებით რთული პრობლემების იდენტიფიცირება და ახალი, სტერეოტიპებისგან თავისუფალი იდეების შემუშავება ჟენევის დისკუსიებში ჩასართავად. ამას გარდა, ერთობლივი პროექტის მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივ

---

<sup>4</sup> ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმი შეჩერდა მას შემდეგ, რაც საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებლების მისიის ყოფილი ხელმძღვანელი სოხუმის ოფიციალური ხელისუფლების მიერ არასასურველ პიროვნებად იქნა მიჩნეული აფხაზეთის ტერიტორიაზე CivilGeorgia, 25 სექტემბერი, 2013, <http://civil.ge/rus/article.php?id=25230>

ცნობიერებაზე გავლენა და ხანგრძლივი და სამართლიანი მშვიდობის მშენებლობის საქმეში ქალის უდიდესი როლის და შესაძლებლობების შესახებ საზოგადოებაში პოზიტიური შეხედულების ჩამოყალიბება.

ქალებს, რომელთაც გააჩნიათ კონფლიქტურ მხარესთან ერთობლივი მუშაობის მდიდარი და მრავალმხრივი გამოცდილება, ქალებს, რომლებმაც განვლეს გრძელი და რთული გზა სახალხო დიპლომატიის ფარგლებში უშუალო დიალოგის დასამყარებლად და ნდობის აღსადგენად, მაშინაც კი, როცა ნებისმიერი დიალოგი პოლიტიკურ ასპარეზზე წარმოუდგენელია, შეუძლიათ არა მარტო იდეათა უდიდესი კაპიტალის ინვესტირება კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში, არამედ სამშვიდობო ინიციატივების გატარება და ახალი, ალტერნატიული მიდგომების შეთავაზება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციისთვის.

## **კვლევის მიზნები,**

## **ამოცანები და მეთოდოლოგია** =====

კვლევის ძირითადი მიზანია, კონფლიქტის სამშვიდობო მოგვარების პროცესში მეტი ქალის ჩართვის აუცილებლობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და ხანგრძლივი და სამართლიანი მშვიდობის შენებაში ქალის მნიშვნელოვანი როლის გააზრება.

კვლევაში დაისვა შემდეგი ამოცანები:

- ჟენევის პროცესის მიმდინარეობის, პროგრესისა და პრობლემების შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა;
- ჟენევის დისკუსიების და მათზე განხილული საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გამოვლენა;
- მოლაპარაკების პროცესში ქალთა უფრო აქტიური ჩართვისა და მათი მონაწილეობის გაზრდის ეფექტური გზების შესახებ საზოგადოების დამოკიდებულების გაანალიზება;

- მოლაპარაკების პროცესში ქალთა როლის გაზრდის თაობაზე კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება და მოლაპარაკებებში ჩართული დელეგატებისთვის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების ყველაზე აქტუალურ საკითხებზე წინადადებების შეთავაზება განსახილველად.

დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, 2015 წლის ივლისიდან აგვისტომდე ჩატარდა თვისობრივი კვლევა ფოკუსირებული ჯგუფის და ინდივიდუალური ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით. ინტერვიუში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო სტრუქტურების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული კონფლიქტის დარეგულირების და სამშვიდობო პროცესებში ქალთა როლის ამალლების საკითხებთან, აგრეთვე ფლობენ ინფორმაციას კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაციის შესახებ.

ფოკუს-ჯგუფის მეთოდით გამოკითხულ იქნა 8, ხოლო ჩაღრმავებული ინტერვიუს გზით - 10 რესპონდენტი ხანგრძლივობით 45-დან 90 წუთამდე.

ინტერვიუს მსვლელობისას ყველა რესპონდენტის მხრიდან იგრძნობოდა დაინტერესება და გულახდილობა, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გულწრფელობა და თანამშრომლობა, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა გამოავლინეს შეხვედრის ორგანიზების და უშუალოდ ინტერვიუს პროცესში.

წინამდებარე კვლევის შედეგები საფუძვლად დაედება ოფიციალურ მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის ადვოკატირებას და ხელს შეუწყობს კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების მწვავე პრობლემების მოგვარებას, რომლებიც აფერხებს მათი სრულფასოვანი და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას.

## კვლევის შედეგები

### **1. ჟენევის დისკუსიების მიმდინარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების დონე**

რესპონდენტთა დიდი უმეტესობა მიიჩნევს, რომ ჟენევის მოლაპარაკებების შესახებ ინფორმირებულობის დონე მეტად დაბალია, რაც, თავის მხრივ, კონკრეტული მიზეზებითაა განპირობებული.

გამოკითხვის დროს აღინიშნებოდა, რომ ინფორმაციის სხვადასხვა არსებული წყაროს - ტელევიზია, ინტერნეტი, ბეჭდური გამოცემები, შეხვედრები მოლაპარაკებების მონაწილეებთან, ტრენინგები თუ პირადი კონტაქტები - მიუხედავად, მოსახლეობისთვის მინოდებული ინფორმაცია მოკლებულია ანალიტიკას, დეტალურ შინაარსს და საკმაოდ ზედაპირულია. ამის მთავარი მიზეზი, რესპონდენტთა ნაწილის აზრით, არის თვით მოსახლეობის არასაკმარისი ინტერესი თემის მიმართ ან საზოგადოებრივი დაკვეთის არარსებობა მოლაპარაკებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღებაზე. თავის მხრივ, მოლაპარაკებების თემის მიმართ არასაკმარისი ინტერესის მიზეზად დასახელდა „**მოლაპარაკებების პროცესის უშედეგობა**“ -

«**საზოგადოება არ არის დაინტერესებული მოლაპარაკებების პროცესით, რაც გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს ხელშესახები შედეგები**».

«**ჩვენ მივეჩვიეთ, რომ პროცესი თავისით მიედინება რაიმე შედეგების გარეშე, არც არის რაიმე მოლოდინები, აქედან გამომდინარე, ამ თემის მიმართ ინტერესიც გაქრა**».

თუმცა ისიც აღინიშნა, რომ პოლიტიკოსები და მოლაპარაკებების უშუალო მონაწილეები, როგორც ინფორმაციის პირველწყაროები და ოფიციალური სამშვიდობო პროცესის მთავარი მოქმედი პირები, თავის მხრივ, მეტ ძალისხმევას უნდა ავლენდნენ საზოგადოების ინფორმირებისა და ამ თემით დაინტერესებისათვის -

«*მახსოვს, რა ინტერესი მოჰყვა მოლაპარაკებების მონაწილის, ქეთევან ციხელაშვილის შეხვედრას სამოქალაქო საზოგადოებასთან - დარბაზი სავსე იყო და შეკითხვებს ბოლო არ უჩანდა... ასეთი პრაქტიკა უნდა დაინერგოს და გავრცელდეს მსგავსი ინიციატივები“...*

მოლაპარაკებების მიმართ იმედგაცრუების მიუხედავად, რესპონდენტებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ სასურველია ჟენევის დისკუსიების შესახებ საზოგადოების ინფორმირების გააქტიურება და ქალების - მათ შორის იძულებით გადაადგილებული ან კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქალების - უფრო აქტიური ჩართვა მოლაპარაკებების პროცესში -

«*ჩინოვნიკები არ ხედავენ და ვერ აცნობიერებენ, რა პრობლემებთან უხდებათ შეჯახება კონფლიქტურ ზონებში მცხოვრებთ, ვერ გრძნობენ, რა განცდა ეუფლებათ მათ, როდესაც ენგურის ხიდზე გადადიან, არ იციან, რა პირობებში სწავლობენ ბავშვები, ან რის ფასად ინარჩუნებს მოსახლეობა ჯანმრთელობას... ისინი უნდა ხვდებოდნენ და უსმენდნენ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი მხრებით ეზიდებიან კონფლიქტის შედეგად შექმნილ სიძნელეებს!“*

ინფორმაციის უფრო ხარისხიანი გაცვლისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშგებისათვის, კვლევის მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია დაინერგოს მოლაპარაკებების დელეგატთა უშუალო შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. საინფორმაციო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, თემთა ლიდერებთან და მოსახლეობის აქტიურ ნაწილთან როგორც მოლაპარაკებებამდე, ისე მოლაპარაკებების შემდეგ, სადაც მონაწილეები გააცნობენ ინფორმაციას მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საზოგადოებას შეეძლება იდეების შეთავაზება ჟენევის დისკუსიებზე

განსახილველად, რესპონდენტთა მოსაზრებით, უზრუნველყოფს ეფექტურობას და მეტ ლეგიტიმურობას შესძენს მოლაპარაკებებში ჩართულ ადამიანებს -

«**კარგი იქნება, თუ ჟენევის დისკუსიის ყოველი რაუნდის წინ და მის შემდეგ თვით მოლაპარაკებების მონაწილენი ან ინფორმირებული ადამიანები შეძლებენ შეხვედრას საზოგადოებასთან და წარუდგენენ დეტალურ ინფორმაციას პროცესის შესახებ, ამასთანავე - მოსახლეობისგან მოისმენენ იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც მას აღელვებს და უპასუხებენ დასმულ შეკითხვებს. ეს უფრო ეფექტურს გახდის მუშაობას და უზრუნველყოფს მოლაპარაკებებში მათ ლეგიტიმურობას“.**

გარდა ამისა, იყო წინადადება, მედიასივრცეში მეტი ყურადღება დაეთმოს კონფლიქტურ ზონაში მცხოვრებ ადამიანთა საჭირობოროტო პრობლემებს. დოკუმენტური ფილმების შექმნა, თემატური სატელევიზიო და რადიოგადაცემების ტრანსლაცია და თოქ-შოუები, რომლებიც ეძღვნება კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ადამიანთა პრობლემებს, კვლევის მონაწილეთა აზრით, საკითხს აქტუალობას შესძენს, მოსახლეობას ინტერესს აღუძრავს და მეტ რეზონანსსაც შექმნის.

ინტერვიუს პროცესში ნეგატიურად შეფასდა შეხვედრების შეწყვეტა გალში, ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში, რაც, რესპონდენტების თქმით, იყო ერთადერთი არაპოლიტიზირებული მექანიზმი და ინფორმაციის გაცვლის და კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების საკითხების განხილვის ღირებული ინსტრუმენტი. მაგრამ აღინიშნა, რომ ეს მექანიზმი, როგორც ჟენევის მოლაპარაკებები, არ უზრუნველყოფდა სათანადო ჩართულობას და ინფორმაციის გაცვლას საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან -

«სამწუხაროდ, ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში განხილული საკითხები სრულიად დახურულია საზოგადოებისათვის, შეხვედრებში არ მონაწილეობენ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მაგალითისთვის, მექანიზმის ფარგლებში მოენყო კარავი ჟურნალისტებისთვის, სადაც მათ შეეძლოთ მონაწილეებისთვის შეკითხვების დასმა შეხვედრის დასრულების შემდეგ. თუმცა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც კონფლიქტურ მხარეებთან მუშაობენ, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, უშუალო მონაწილეობა მიიღონ ამ შეხვედრებში და ინფორმაციაც მათ შესახებ დახურულია საზოგადოებისათვის“.

## 2. ჟენევის დისკუსიების მნიშვნელობა საზოგადოებისათვის

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა სოლიდარულია მოსაზრებაში, რომ ჟენევის ფორმატი და მასზე მიმდინარე დისკუსიები მნიშვნელოვანია და ფაქტია, რომ სადღეისოდ ეს ერთადერთი ოფიციალური ბერკეტია დიალოგისთვის, ინფორმაციის გაცვლისა და კონფლიქტურ მხარეებს შორის ურთიერთობისათვის -

«ჟენევის პროცესი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ქართულ, აფხაზურ და ოსურ მხარეებს შესაძლებლობა აქვთ, ერთმანეთს მოუსმინონ, გაუზიარონ მოსაზრებები, შეაფასონ ადამიანთა უფლებების მხრივ ადგილებზე არსებული მდგომარეობა, გააცნონ ვითარება საერთაშორისო ორგანიზაციებს და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეიტანონ პოზიტიური იმპულსი არსებულ რეალობაში“.

ამას გარდა, ამ პროცესს, კვლევის მონაწილეთა აზრით, განსაკუთრებულ ფასს სძენს მისი საკმაოდ წარმომადგენლობითი მედიატორული შემადგენლობა - ისეთი ძირითადი მოთამაშეების სახით, როგორებიც არიან გაერო, ევროკავშირი და ეუთო. საგულისხმოა, რომ **რუსეთისთვის მედიატორის როლის ჩამორთმევას** რესპონდენტთა ნაწილი წლების მანძილზე მიღწეულ სამართლიანობად აფასებს. თუმცა, გარკვეული

რაოდენობა ხაზს უსვამს, რომ კონფლიქტის ფორმულირება მხოლოდ საქართველო-რუსეთის კონფლიქტად, ისე რომ **კულისებს მიღმა რჩება აფხაზური და ოსური მხარეები**, არა მხოლოდ უსამართლობაა, არამედ კონტრპროდუქტიულია.

ჟენევის მოლაპარაკებების დამსახურებად აღინიშნა შეთანხმება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა **საარქივო დოკუმენტების გაცვლა, აფხაზი მოსახლეობისთვის საქართველოს ჯანდაცვის თავისუფალი და უფასო წვდომა**. მაგრამ პროგრესის მიღწევა საკმაოდ შეზღუდულ, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხთა სპექტრში, მაშინ როცა მოუგვარებელი რჩება მოსახლეობისთვის მტკივნეული პრობლემები, არ შეიძლება ნაყოფიერად შეფასდეს და დიდი კითხვის ქვეშ აყენებს მოლაპარაკებების პროცესის ეფექტურობას.

მიუხედავად იმისა, რომ თვით ჟენევის დისკუსიების მიმდინარეობა ყოველი მონაწილის მიერ არადადამაკმაყოფილებლად მიიჩნევა, ხშირად ხდება ხაზგასმა, რომ **არაფორმალურ გარემოში ურთიერთობის შესაძლებლობა** ამ პროცესს განსაკუთრებულობას ანიჭებს და შეიძლება შემდგომი პროგრესისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს -

«კონფლიქტის პირობებში დიალოგის არსებობა, განსაკუთრებით - საერთაშორისო დონეზე - საერთაშორისო მოთამაშეების ჩართვით მეტად მნიშვნელოვანია. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, ის არაფორმალური საუბრები და ურთიერთობა, რომლებიც კულუარებში მიმდინარეობს, ოფიციალური ფორმატის ჩარჩოებს მიღმა. არაფორმალურ ვითარებაში განხილული სოციალური და ჰუმანიტარული თემები და უსაფრთხოების საკითხები უსათუოდ გამოიღებს შედეგს და, შესაძლოა, შემდგომ რაუნდებში შეტანილ იქნეს მოლაპარაკებების დღის წესრიგში».

გულისტკივილით აღინიშნა, რომ აფხაზური მხარის **არაკონსტრუქციულობა და ჰუმანიტარული საკითხების პოლიტიზირება** აფერხებს ხელშესახები შედეგების მიღწევას მოლაპარაკებებში -



« აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა შინ დაბრუნების საკითხი, აგრეთვე აფხაზეთში დარჩენილ და მცხოვრებ ქართველთა უფლებების დაცვა ყრუ კედელს ეჯახება. აფხაზური მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ საკითხების შეტანას დღის წესრიგში... სოხუმი და ცხინვალი ცდილობენ დევნილთა დაბრუნების საკითხის პოლიტიზირებას, რაც წმინდა წყლის ჰუმანიტარული საკითხია“.

კვლევის მონაწილეების მიერ ითქვა, რომ, ერთი მხრივ, ჟენევის პროცესი გარკვეულ სტაგნაციას განიცდის და ერთი ლერძის ირგვლივ ბრუნავს, მაგრამ, მეორე მხრივ, არის იმედი, რომ პროცესს არ ამოუწურავს თავისი თავი, გააჩნია პოტენციალი და არეალი უფრო ფართო მოქმედებისთვის. **ახალი და ალტერნატიული იდეები, მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება და წინასწარ, უფრო საგულდაგულო მოსამზადებელი სამუშაოს** განევა მოლაპარაკების მონაწილეების მიერ ყოველი რაუნდის დაწყებამდე, წარმატების საწინდარი იქნება.

ალინიშნა ისიც, რომ მოლაპარაკების პროცესი „თამამი პროცესი“ უნდა იყოს, გონივრული და გადამწყვეტი მიდგომებით -

« ხშირად ამბობენ, რომ ომს გამბედაობა სჭირდება... მე ვნახე ომი და შემიძლია ვთქვა, რომ მშვიდობას და მის აშენებას ბევრად მეტი გამბედაობა უნდა, მეტი გონივრული ქმედება, რომელიც აგებულია მეორე მხარის გაგებასა და პატივისცემაზე“.

კვლევის დროს იყო საუბარი ახალი, **უფრო მოქნილი და ეფექტური ფორმატის პოვნის აუცილებლობაზე**, რომლის დროსაც პროცესი უფრო მიმზიდველი და მისაღები გახდება კონფლიქტში ჩართული ყველა მხარისთვის. მაგალითად, იყო წინადადება, რომ -

« აუცილებელია საკითხის პოლიტიზირებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შეზღუდვის გარეშე ვეცადოთ, ვიპოვოთ მოქნილი ფორმა და ფორმატი, რომლის დროსაც აფხაზურ და ოსურ მხარეებს პირდაპირი ოფიციალური დიალოგის შესაძლებლობა ექნებათ ქართულ მხარესთან“.

იყო ასეთი წინადადებაც - შეიცვალოს ფორმატი იმგვარად, რომ მოლაპარაკებებში შესაძლებელი გახდეს **საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მოზიდვა და ჩართვა**.

ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, უშედეგო მოლაპარაკებების პროცესის მკვდარი წერტილიდან დაძვრისათვის მეტად მნიშვნელოვანია უფრო **მეტი რაოდენობის ქალის ჩართვა მოლაპარაკებებში და ორივე მხრიდან ქალთა „კრიტიკული მასის“ შექმნა**, რაც, მათი აზრით, არა მხოლოდ შეცვლის განსახილველი საკითხების ვექტორს და მიმართულებას, არამედ ჩიხიდან გამოიყვანს და გააკეთილშობილებს პროცესს -

«**ქალთა არასაკმარისი რაოდენობა მოლაპარაკებებში და აფხაზური მხრიდან ქალების არარსებობა ხელს უწყობს არსებული პროცესის გარკვეულ სტაგნაციას. ქალ-პოლიტიკოსთა და მოლაპარაკებების დელეგატთა „კრიტიკული მასის“ შექმნა ორივე მხარეს გავლენას მოახდენს დისკუსიის მიმდინარეობაზე, დაეხმარება არა მხოლოდ სამშვიდობო პროცესის ახალი მიდგომებით და იდეებით გამდიდრებაში, არამედ მის გაკეთილშობილებაში“.**

### **3. მოლაპარაკებებზე ყურადსაღები და გადასაწყვეტი პრობლემები**

ინტერვიუს მსვლელობისას, მონაწილეებმა წამოჭრეს ისეთი პრობლემები და საკითხები, რომლებიც დღეს ყველაზე მწვავედ აღელვებს კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას და რაც, მათი აზრით, მოლაპარაკებების პროცესის დელეგატების მხრიდან მოითხოვს არა მხოლოდ გაძლიერებულ ყურადღებას, არამედ პრაქტიკულ ნაბიჯებსაც მათ გადასაწყვეტად.

**შეფერხებები თავისუფალ გადაადგილებაში** რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია, რომლის მოუგვარებლობაც პრობლემათა ჯაჭვს იწვევს და კიდევ უფრო ართულებს აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ნორმალურ და ღირსეულ ცხოვრებას.

ნათესაური კავშირები, ჯანდაცვის საკითხები, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა და ეკონომიკური საქმიანობა - ეს ის სფეროებია, რომლებიც აკავშირებს გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას საქართველოს დანარჩენ ნაწილთან.

აფხაზეთში მცხოვრები ან მასთან დაკავშირებული ქართული მოსახლეობის გადაადგილების გზაზე არსებული უამრავი წინააღმდეგობა ლახავს მის უფლებებს და უფრო მოწყვლადს ხდის.

მთავარი წინააღმდეგობა, რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არის **დოკუმენტების პრობლემა**. ინტერვიუს მონაწილის თქმით, ერთ-ერთი მოთხოვნა გალის რაიონის მოსახლეობის მიმართ აფხაზეთში განლაგებული გამშვები პუნქტების თავისუფალი გადაკვეთისათვის არის **აფხაზური პასპორტი ან პიროვნების დამადასტურებელი მოწმობა**, რომლის მიღება, აფხაზეთის კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ **საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის** შემთხვევაშია შესაძლებელი.

გალის რაიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, მცხოვრებთა უმეტესობისთვის - ეს მოთხოვნა მიუღებელია. თავისუფალი გადაადგილების მეორე ალტერნატივას წარმოადგენს **ბინადრობის ნებართვა**, რომლის მიღებას ართულებს უამრავი ბიუროკრატიული ბარიერი, გაუმართავი ინფრასტრუქტურა და საბუთების გაცემის არსებული კორუფციული სისტემა.

ბავშვები, მოხუცები, ქალები - ნებისმიერი პიროვნება, რომელიც საქართველოში გადადის სამკურნალოდ, სასწავლებლად თუ ნათესავების მოსანახულებლად და არ სურს აფხაზური პასპორტის მიღება საქართველოს მოქალაქეობის სანაცვლოდ, ან არსებული წინააღმდეგობების გამო ვერ იღებს ბინადრობის ნებართვას, იძულებული ხდება, შემოვლითი გზებით გადავიდეს ენგურის მეორე მხარეს, რითაც რისკის ქვეშ აყენებს თავის ფსიქოსოციალურ მდგომარეობას და ფიზიკურ ჯანმრთელობას -

« არაერთხელ მინახავს წელამდე წყალში შესული ქა-  
ლები და ბავშვები - ასე უწევთ მდინარეზე გადასვლა,  
რომ მოხვდნენ ზუგდიდში, ქუთაისში ან თბილისში... ყვე-  
ლაზე ხშირად ისინი სამკურნალოდ მიდიან. გზა, რომელ-  
საც გადიან, კიდევ უფრო ართულებს და მეტ ზიანს აყე-  
ნებს მათ ჯანმრთელობას“.

რამდენიმე რესპონდენტმა მოიყვანა გალის რაიონში  
მცხოვრები 13 წლის მოზარდის მაგალითი, რომელსაც საბუ-  
თების პრობლემა სიცოცხლის ფასად დაუჯდა -

« ბავშვს სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია და სამედიცი-  
ნო დახმარება ესაჭიროებოდა. ის დაიღუპა იმის გა-  
მო, რომ არ ჰქონდა საბუთები და ვერ მოხერხდა მისი  
ტრანსპორტირება ენგურის ხიდზე. მშობლებს მისი გა-  
დაყვანა შემოვლითი გზებით მოუხდათ, რაც მისთვის  
ფატალურად დამთავრდა“.

აღინიშნა, რომ მძიმე და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ  
ადამიანებს, რომელთაც სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია სჭირ-  
დებათ, ხშირად უარს ეუბნებიან გამშვებ პუნქტებზე სათა-  
ნადო საბუთების უქონლობის გამო, რაც სახიფათოა მათი  
სიცოცხლისთვის. აქედან გამომდინარე, **მოთხოვნების გა-  
მარტივება შესაბამისი დოკუმენტების მისაღებად** ენგურის  
ხიდზე გადასვლისთვის განხილვის მნიშვნელოვანი თემაა მო-  
ლაპარაკებებზე.

ასევე იყო საუბარი **მოწვევებსა და საშვებზე**, რომლებიც  
სჭირდებათ აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის მსურველთ,  
ვისაც ნათესავების მონახულება ან ახლობლების საფლავებ-  
ზე გასვლა უნდა. პრობლემა იქმნება იმ შემთხვევაში, როცა  
ადამიანს, რომელსაც გალიდან აქვს მოწვევა, არ შეუძლია  
მისი ფარგლების დატოვება და აფხაზეთის სხვა რაიონებში  
მოხვედრა კონკრეტული ადგილიდან დამატებითი მოწვევის  
გარეშე -

«გალიდან მქონდა მოწვევა, ამიტომ ვერ შეძელი გულრიფში, ახლობლების საფლავზე წასვლა. ამისთვის მჭირდებოდა დამატებითი მოწვევა გულრიფშიდან, რაც სირთულეებთანაა დაკავშირებული... ასეთი მოწვევის გარეშე გალიდან რომ გავსულიყავი, დამაკავებდნენ და დამაჯარიმებდნენ“...

**ენგურის ხიდის რემონტის** საკითხი ავტობუსების შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, რაც საგრძნობლად გააადვილებს ხიდზე გადასვლის პროცესს, ერთ-ერთი რესპონდენტის მტკიცებით, აუცილებლად უნდა მოგვარდეს -

«რახანია, ვერ გადაწყდა ენგურის ხიდის რემონტის საკითხი... 22 წელია, ადამიანები გადადიან ხიდზე ურმებით, ან მიათრევენ ტომრებსა და ზურგჩანთებს... ადამიანები, მეტწილად ხანდაზმულები და ქალები, თავიანთი ჯანმრთელობის საზიანოდ, იძულებულები არიან, ტვირთაკიდებულებმა იარონ ზაფხულის ხვატში თუ ყინვიან ზამთარში, ქარსა თუ წვიმაში გალიდან ზუგდიდში და პირიქით“...

**ჯანდაცვასთან დაკავშირებული პრობლემები** წარმოადგენს ერთ-ერთ მწვავე საკითხს, რომელიც აწუხებს გალის რაიონში მცხოვრებთ. მოსახლეობას კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის ის, რომ არ არის საკმარისი რაოდენობისა და სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო ცენტრები და სასწრაფო დახმარების მანქანები მძიმე ავადმყოფების გადაუდებელი ტრანსპორტირებისათვის.

კვლევის დროს დაისვა გალის რაიონის მოსახლეობის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე **ბიზნესის წარმართვის საკითხი**, კერძოდ წინააღმდეგობები „თხილის ბიზნესში“. ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვებით, თხილის ბიზნესი დღეს ყველაზე მთავარი საოჯახო ბიზნესი და ბევრისთვის შემოსავლის ძირითადი წყაროა გალის რაიონში.

თუმცა, სწორედ ის არის დაკავშირებული დიდ რისკთან მოსახლეობისთვის და წარმოადგენს მოუგვარებელ საკითხს.

კორუფციის და ენგურის ხიდზე ტვირთის გადაზიდვის გაუმართავი საკანონმდებლო მექანიზმების გამო გალის რაიონის მცხოვრებთ თხილის გადაზიდვა შემოვლითი გზებით უხდებათ, რაც სახიფათოა როგორც საქონლისთვის, ისე მათთვისაც.

გამშვებ პუნქტებზე ადეკვატური, ოფიციალურად დაწესებული თანხის საფასურად გალის მოსახლეობისთვის ენგურის ხიდზე (და არა შემოვლითი გზებით) თხილის გადატანისა და გაყიდვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ კორუფციის თავიდან აცილებას, არამედ შექმნის ხელსაყრელ პირობებს ბიზნესის წარმართვისა და ქართველების ღირსეული ცხოვრებისათვის.

გალის რაიონში მცხოვრები **ქართველების მშობლიურ ენაზე სწავლების უფლების დარღვევა**, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, საზოგადოებისთვის ერთ-ერთი მტკივნეული თემაა. ქართული სკოლების გაუქმება და რუსული განათლების შემოღება, ქართულ მოსახლეობაში შეფასებულია როგორც რუსიფიკაციის მცდელობა და ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების „კულტურული გენოციდი“.

ეს სიტუაცია, კვლევის მონაწილეთა თქმით, იძულებულს გახდის იმ ოჯახებს, ვისი შვილებიც არ ფლობენ რუსულს, დატოვონ თავიანთი საცხოვრებელი და განათლების მისაღებად გადავიდნენ ზუგდიდში ან საქართველოს სხვა ქალაქებში -

«**ამ წლის სექტემბრიდან 11 ოდესღაც ქართული სკოლა შეწყვეტს სწავლას ქართულ ენაზე და დაიწყებს ფუნქციონირებას რუსულ ენაზე... ეს ქართულ მოსახლეობას მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობას ართმევს, რაც გალის რაიონში მცხოვრები ადამიანებისთვის კატასტროფაა...**»

აღინიშნა აგრეთვე **სასმელი წყლის დაბინძურების საკითხი**. ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვებით, არსებობს ლაბორატორიულად დადასტურებული ფაქტები, რომ დაბინძურებულია სათაო ნაგებობა, საიდანაც წყალი მიეწოდე-

ბა გალის რაიონს. ამან შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი მოსახლეობის მონამვლა, როგორც ეს ერთხელ მოხდა ტყვარჩელში. აფხაზეთში სახელმწიფო სტრუქტურების პოლიტიკური ნების უქონლობის გამო, სამწუხაროდ, ამ საკითხის გადაჭრა ჯერაც შეუძლებელია.

ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია **ქალებისთვის თავიანთი შვილებისა და მეუღლეების საფლავებზე ჩასვლა**. მოლაპარაკებებზე არაერთგზისი განხილვის მიუხედავად, ამ საკითხის მოგვარება შეუძლებელი გახდა -

« 20 ნელზე მეტია, მოლაპარაკებებზე ვცდილობთ, ნა-მოვნიოთ საკითხი, რომ ქალებმა გარკვეულ დღესასწაულებზე შეძლონ თავიანთი დაღუპული შვილებისა და მეუღლეების საფლავების მონახულება, დატირება და სანთლის ანთება... თითქმის გადანყვეტილი იყო, მაგრამ მერე ჩაიშალა... განა ეს პოლიტიკური საკითხია? »

ინტერვიუს დროს აღინიშნებოდა, რომ არის საკითხები, რომელთა დაძვრა ადგილიდან შეუძლებელია **პროცესის ზედმეტი პოლიტიზირების** გამო -

« შეუძლებელია ჰუმანიტარული საკითხების პოლიტიზირება, რომელთა გადანყვეტა მარტივად შეიძლება და რომელთაც უბრალო ადამიანური მიდგომა და თანავგრძნობა სჭირდება ».

ზემოთ მოყვანილი პრობლემები ადასტურებს, რომ სადღეისოდ უამრავი არსებითი და გადაუდებელი პრობლემაა, რომელთა გადანყვეტაც მნიშვნელოვანია კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანებისთვის.

მოუგვარებელი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება გადადგილების თავისუფლებას, დოკუმენტების მიღებას, მშობლიურ ენაზე სწავლას, აგრეთვე ვაჭრობის და ტვირთის გადაზიდვის თავისუფლებას და სხვა სოციალურ და ყოფით პრობლემებს, არა მარტო ართულებს ქალებისა და ბავშვების მდგომარეობას და ნე-

გატიურ გავლენას ახდენს ქართული მოსახლეობის სრულფასოვანი და ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობაზე კონფლიქტურ ზონებში, არამედ ხელს უშლის კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთობების მონესრიგების და მდგრადი და ხანგრძლივი მშვიდობის შენების ნებისმიერ მცდელობას.

#### **4. მოლაპარაკებების პროცესში ქალთა მონაწილეობის როლი და მნიშვნელობა**

კვლევის მიმდინარეობისას ყოველი რესპონდენტი ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ მშვიდობის შენებაში ქალთა როლი საკმაოდ დიდია და მეტად მნიშვნელოვანია ქალების, როგორც სრულუფლებიანი მოქალაქეების, მონაწილეობა ცხოვრების ნებისმიერ - ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ - სფეროში. განსაკუთრებით ხაზგასმული იყო ქალთა ჩართვის აუცილებლობა სამშვიდობო მოლაპარაკებებში, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების სოციალური და ჰუმანიტარული პრობლემების გადანეწყვის ლობირება.

აღინიშნა, რომ მეტი ქალის ჩართვით ოფიციალურ მოლაპარაკებებში, რომლებიც მეტწილად სუვერენიტეტისა და ძალაუფლების საკითხებზეა კონცენტრირებული, შესაძლებელი გახდება მხარეების ყურადღების გადატანა პოლიტიკური თემებიდან - ჰუმანიტარულზე -

«*მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის სოციალური და ყოფითი პრობლემები ხშირ შემთხვევებში რჩება ქალთა ინტერესის სფეროში და უმეტესად სწორედ ქალები ლობირებენ მათ მოგვარებას*».

რესპონდენტთა აზრით, ქალებს შეუძლიათ არა მხოლოდ წარმოადგინონ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ეხება არსებული სიტუაცია ქალებსა და ბავშვებს, არამედ შესთავაზონ არასტანდარტული მიდგომები ოფიციალურ მოლაპარაკებებში, რაც აუცილებელია მდგრადი მშვიდობის მისაღწევად.



მიუხედავად იმისა, რომ ქალთა პოტენციური და როლი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოზიტიურად შეფასდა და აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი, უნდა აღინიშნოს, რომ ქალისთვის მიკუთვნებული სოციალური როლი - პირველ რიგში, იყოს კერიის მფარველი, დიასახლისი და შვილების აღმზრდელი - ჯერ კიდევ ღრმად არის გამჯდარი საზოგადოებრივ ცნობიერებაში და ადამიანებს კარნახობს ხელისუფლების პოლიტიკურ სტრუქტურებში ქალების უფრო აქტიური წინსვლის საკითხის მიმართ დამოკიდებულებას -

« ქალებს გააჩნიათ დიდი პოტენციური პოლიტიკური აქტივობისათვის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალთა როლი ოჯახში გადამწყვეტია. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ქვეყანაში დემოგრაფიული ვარდნა. ერთი მხრივ, ქალთა ჩართვა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ზიანს მიაყენებს ოჯახს, მაგრამ, მეორე მხრივ, ქალი გვჭირდება პოლიტიკაშიც... ამისთვის საჭიროა ბალანსის პოვნა! »

მონაწილეთა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქალებს გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ კონფლიქტის პრევენციასა და მოგვარებაში, მამაკაცებისგან განსხვავებული სპეციფიკური თვისებების გამო.

ინტერვიუს პროცესში ჩამოთვლილი იყო მთელი რიგი თვისებებისა, რომლებიც შეუცვლელს ხდის ქალს მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხში:

- ❖ **მშვიდობისმოყვარეობა** - „ქალები უფრო მშვიდობის შენარჩუნებას ესწრაფვიან, მაშინ როცა მამაკაცები აგრესიული ქმედებებისთვის არიან განწყობილნი“;
- ❖ **მოთმინება და თავშეკავება** - „იმას, რასაც ქალი მოითმენს, მამაკაცი ვერ აიტანს... ფსიქოლოგიურად ქალი უფრო განონასწორებულია და ნეგატიურად განწყობილ ადამიანებთანაც კი ინარჩუნებს სიმშვიდეს“;
- ❖ **კომპრომისზე წასვლის ნიჭი** - „ქალი ადვილად მიდის დათმობასა და კომპრომისზე და შეუძლია პრობლემის ალტერნატიული გზით მოგვარება“;

- ❖ **თანაგრძნობის ნიჭი** - „ქალები უფრო მგრძნობიარენი არიან და გულთან მიაქვთ პრობლემები“;
- ❖ **ზრუნვა მომავალ თაობაზე** - „ქალი ფრთხილად ეკიდება კონფლიქტის გაღვივებას, რადგან უკეთ აცნობიერებს ომის მძიმე შედეგებს. ქალი ყოველთვის ფიქრობს მომავალ თაობაზე და პირობების შექმნაზე შვილებისა და ოჯახის მშვიდობიანი და უსაფრთხო ცხოვრებისათვის“.

ქალებისათვის დამახასიათებელი დადებითი თვისებების გარდა აღინიშნა ისიც, რომ ხელისუფლების მაღალ პოსტებზე და გადაწყვეტილების მიღების პოზიციებზე, როგორი პარადოქსიც არ უნდა იყოს, ქალები ხშირად მამაკაცებს ემსგავსებიან და „მამაკაცების წესებით“ მოქმედებენ. ეს ტენდენცია, მონაწილეთა აზრით, აქარწყლებს ქალების განსაკუთრებულ თვისებებსა და ხასიათს, რომლებიც ასერიგად მნიშვნელოვანია დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრებისათვის -

«ქალები ისეთი თვისებებით განსხვავდებიან, როგორებიცაა კომპრომისულობა, ემოციურობა, სოციალური პრობლემების წამოწევა... ომისა და მშვიდობის საკითხებზე მსჯელობისას ისინი, პირველ რიგში, აქცენტს აკეთებენ იმ ნეგატიურ შედეგებზე, რომლებიც კონფლიქტს მოაქვს... მაგრამ, სამწუხაროდ, საკმარისია, ქალები მოხვდნენ გადაწყვეტილების მიღების დონეზე, რომ მამაკაცებს ემსგავსებიან... მნიშვნელოვანია, რომ ქალი ერთგული რჩებოდეს თავისი თვისებებისა, რისი გამოყენებაც პოზიტიურად შეიძლება პოლიტიკურ ცხოვრებაში“.

ხაზგასმული იყო, რომ ქალების ჩართვას სამშვიდობო მოლაპარაკებებში თავისთავად არ შეუძლია პროცესის საერთო სურათის შეცვლა, თუკი, ერთი მხრივ, მოლაპარაკებებზე წარმოდგენილი არ იქნებიან ქალები კონფლიქტის ორივე მხარედან; ხოლო, მეორე მხრივ, არ იქნება უზრუნველყოფილი სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი კომპეტენტური და პროფესიონალი ქალების საკმარისი რაოდენობის ჩართვა კონკრეტული ჰუმანიტარული და სოციალური პრობლემების წამოწევისა და გადაწყვეტილების მიღებაზე საგრძნობი გავლენისათვის.

## **5. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის ეფექტურობა ქალთა როლის გაზრდისათვის კონფლიქტების მოგვარების საქმეში**

რეზოლუცია 1325-ის ეფექტურობის საკითხის განხილვისას აშკარა გახდა, რომ რესპონდენტთა უმეტესობა დოკუმენტს აფასებს როგორც მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც შექმნილია სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და კონფლიქტების მოგვარებაში ქალთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებისათვის, მაგრამ სასურველია, რომ რეზოლუციას უკეთესი პრაქტიკული მოქმედება ჰქონდეს.

რესპონდენტთა სიტყვებით, ის, რომ ჟენევის ოფიციალურ მოლაპარაკებებზე ქართულ დელეგაციას ქალი ხელმძღვანელობს, ან ის, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ქალია, აგრეთვე ქალთა ზრდის ტენდენცია ადგილობრივ თვითმმართველობებში, მიუთითებს რეფორმებზე, რომელთაც ახორციელებს საქართველო გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე.

გარკვეული პროგრესის მიუხედავად, რესპონდენტთა დამოკიდებულება რეზოლუციის ეფექტურობისა და შედეგიანობის მიმართ საკმაოდ სკეპტიკურია. აღინიშნა, რომ დოკუმენტი მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო დეკლარირებული ხასიათი აქვს და რეზოლუცია 1325-ის მიღებიდან 15 წლის შემდეგაც გენდერული ურთიერთობების უამრავი საკითხი მოუგვარებელი რჩება.

სახელისუფლებო ემელონების მაღალი პოსტები, უმთავრესად, მამაკაცებს უჭირავთ, ხოლო პოლიტიკურ დონეზე ქალთა მონაწილეობის არსებული ტენდენცია, მათ შორის ქალების ჩართვა სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში, მეტად ნელა მიმდინარეობს და პრაქტიკულად არ იგრძნობა.

გამოითქვა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ მიიღება პრაქტიკული ზომები გენდერული თანასწორობის კუთხით, არ იდგმება ნაბიჯები მთავარ პოსტებზე მყოფი სახელმწიფო ჩინოვნიკების გენდერული განათლებისთვის, ამიტომაც თანამდებობის პირები გადანყვეტილების მიღების

დონეებზე ჯერ კიდევ არ არიან გენდერულად მგრძნობიარენი და იმყოფებიან გენდერული სტერეოტიპების ტყვეობაში.

ერთი მონაწილის მტკიცებით, სახელმწიფო სტრუქტურების ჩინოვნიკების გენდერული სენსიტიურობის კუთხით მუშაობას მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ და ეს ყოველთვის არ მიიჩნევა პრიორიტეტულად თვით ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ -

*« ყველაფერი, რაც დღეს კეთდება გენდერული თანასწორობის და გენდერული განათლების მიმართულებით, მეტწილად, არასამთავრობო სექტორის დამსახურებაა და მეტად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მუშაობაში, არამედ თვითონაც უკეთებდნენ ინიცირებას და მხარს უჭერდნენ ამ საქმიანობას ».*

ერთი მონაწილის თქმით, პრაქტიკა ადასტურებს, რომ პროგრესი გენდერული თანასწორობის გზაზე შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო სტრუქტურებში იქნებიან გენდერულად მგრძნობიარე ადამიანები, რომლებიც გააცნობიერებენ ქალთა მონაწილეობის აუცილებლობას და შეუწყობენ ხელს მათ ჩართვას გადწყვეტილების მიღების მაღალ თანამდებობებზე.

რეზოლუციის ერთ-ერთი დადებითი შედეგი, ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, იყო საქართველოში რეზოლუცია 1325-ის ძირითადი დებულებების განსახორციელებელი 2012-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცება. პოზიტიურად შეფასდა აგრეთვე ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს შექმნა სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელებისათვის. სამუშაო შეხვედრები სამ თვეში ერთხელ ტარდება პრემიერ-მინისტრის კაბინეტთან არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს ხელმძღვანელობით, სახელმწიფო უწყებების, ომბუდსმენის აპარატის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. ეს

შეფასებულია როგორც ინფორმაციის გაცვლის, ანგარიშგების, ურთიერთქმედების და თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ფორუმი სამოქმედო გეგმის რეალიზაციის გზაზე. მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირების მხრიდან უინტერესობა საგრძნობლად უშლის ხელს პოზიტიური შედეგების მიღწევას.

ერთ-ერთ მიზეზად, რომელიც აფერხებს რეზოლუცია 1325-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის ეფექტურ განხორციელებას, დასახელდა ის, რომ **არ არის ბიუჯეტი** დოკუმენტში განერილი **კონკრეტული მოქმედებებისთვის**. მაგრამ არასაკმარისი პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად აღინიშნა **პოლიტიკური ნების არქონა** -

«**კონკრეტული სამინისტროები ხშირად თავიანთ უმოქმედობას ბიუჯეტის არქონით იმართლებენ, მაგრამ უნდა ითქვას თავდაცვის სამინისტროს მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმაში ჩართული ღონისძიებებისთვის არ იყო გამოყოფილი ბიუჯეტი, მაინც გამოინახა გარკვეული მატერიალური რესურსები მათი ჩატარებისთვის... აქედან გამომდინარე, ჩვენ უფრო პოლიტიკური ნების არქონასთან გვაქვს საქმე. ჩვენი ხშირი შეხვედრები და ტრენინგები ხელისუფლების წარმომადგენლებთან ადასტურებს ამ მოსაზრებას**».

რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პროგრესი რეზოლუცია 1325-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კუთხით, უმთავრესად, იგრძნობა საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის მხრიდან, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებით, მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დაცვისათვის. სწორედ ქალთა ორგანიზაციების აქტიური საქმიანობის დამსახურებაა, რომ დღეს ხორციელდება პოლიტიკურ ცხოვრებაში და სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა წინსვლის კონკრეტული ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვის ადვოკატირება.

## **6. სამშვიდობო პროცესებში ქალთა როლის გაზრდის ხელშეწყობი მექანიზმები**

ხელისუფლების უმაღლეს ემელონებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით კვოტების, როგორც სპეციალური და დროებითი ზომის, შემოღების საკითხი - ეს არის თემა, რომელიც ფართოდ განიხილება ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა დონეზე და თემატურ ფორუმებზე. პოლემიკა ამ თემის გარშემო, როგორც წესი, მიმდინარეობს კვოტების სისტემის ეფექტურობასთან, მის სამართლიანობასთან, მათი გამოყენების შედეგებთან დაკავშირებით.

რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ დღევანდელი რეალიების პირობებში, ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისათვის გვერდს ვერ ავუვლით ხელისუფლების სტრუქტურებში სპეციალურ დროებით, კანონით გამყარებულ და შესასრულებლად აუცილებელ ზომებს.

საქართველოს გამოცდილებამ აჩვენა, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია თანასწორობის დეკლარირების გზით. ქალებისა და მამაკაცების იურიდიული თანასწორობა არ განსაზღვრავს შესაძლებლობების თანასწორობას პრაქტიკაში. აღინიშნა, რომ დიდი უფსკრული არსებობს მოქმედ სამართლებრივ ნორმებს, ოფიციალურ რიტორიკას და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია კანონი დისკრიმინაციის წინააღმდეგ, არსებობს პარტიების ფინანსური წახალისების სისტემა თავიანთ რიგებში ქალთა ჩართვისათვის, სიტუაციის შეცვლა - ქალთა თუნდაც 30-40% მოსვლით საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში - ჯერ კიდევ ვერ ხერხდება.

ინტერვიუს დროს აღინიშნებოდა, რომ დღეს ქალებს აქვთ რეალური წინააღმდეგობები, რაც ხელს უშლის მათ წინსვლას და საჭიროა სპეციალური იმპერატიული ზომების მიღება, რაც დაეხმარება მათ მოხვედრას ხელისუფლების ორგანოების ძირითად პოზიციებზე -

« არ არსებობს ადეკვატური პირობები, რომლებიც დაეხმარებოდა ქალებს, რომ თამამად შევიდნენ პოლიტიკაში, არ არის ბალანსი ოჯახური პასუხისმგებლობის განაწილებაში... პარტიულ ლიდერებს არ გააჩნიათ პოლიტიკური ნება, რომ ქალები მამაკაცების გვერდით ჩართონ თავიანთ პარტიულ სიებში... ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ კანონის დონეზე მიღებულ იქნას იმპერატიული ნორმა, რომელიც დაავალდებულებს პარტიებს, უზრუნველყოს თავიანთ სიებში ორივე სქესის თანაბარი რაოდენობა“...

ამას გარდა, აღინიშნა, რომ კვოტების მიღება უნდა შეერწყას დამატებით ზომებს, რომლებიც მიმართული იქნება ქალთა სტიმულირების ადეკვატური პირობების შექმნისაკენ, რათა ისინი გაბედულად გამოვიდნენ პოლიტიკურ არენაზე. ერთი მხრივ, ეს გულისხმობს სოციალური პოლიტიკის გატარებას, რომელიც მიმართული იქნება ყოფითი პრობლემების შემსუბუქებისკენ, ბავშვების აღზრდისკენ, რაც შესაძლებელს გახდის, თანაბრად განაწილდეს ოჯახური მოვალეობები ორივე მშობელს შორის. მეორე მხრივ, სასურველი სამუშაო პირობების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ქალებს, შეუთავსონ ერთმანეთს შრომა და დედობა, მათ შორის ანაზღაურებადი შვებულებები და სხვა შეღავათები ორსული ქალებისა და დედებისთვის.

გამოითქვა აგრეთვე მოსაზრება, რომ კვოტების სახით, დროებითი ზომების დაწესების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მაღალკვალიფიცირებული, ინტელექტუალური და აქტიური ქალების ჩართვა ხელისუფლებაში -

« ჩემთვის კვოტა - არის გარანტია შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციის, ინფორმაციის დ მოტივაციის ქალებისთვის, მოვიდნენ მთავრობაში, ისე რომ მათ ხელი არ შეუშალონ!“

იყო ასეთი მოსაზრებებიც, რომ კვოტების დანერგვამ, ნახალისებამ და მეტი ქალის ჩართვამ პოლიტიკურ ცხოვრება-

ში შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის დემოგრაფიაზე და სიტუაციაზე ოჯახებში, რაც ადასტურებს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ქალთა მიმართ არსებული დამოკიდებულების კონსერვატიულ-პატრიარქალურ სტერეოტიპს -

